

პატარა მკითხველებს

კუნძულა.

II

წელიწადი ოცდამეორე.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

კ უ ნ წ უ ლ ა ს ი


## II.

I—სურათი მებრძოლი ქართველი დედა . . . . .	34
II—პებელა ლექსი—მიმქრალისა . . . . .	35
III—ორი რევოლიუციის ბაირალტარი—ეკ. გაბაშვილისა . . . . .	37
IV—რუსეთის რევოლიუცია—ივ. გომართლისა . . . . .	46
V—როგორ იკურნებიან ცხოველები--თარგმანი ან. წვრეთლისა. . . . .	50
VI—უნდა დავაკერებინო!—ცქვიტისა . . . . .	54
VII საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ჩიტოსი . . . . .	61

## ჯაჯილის ხალის მოგზაურების საყურადღებოთ.

აუტანელი სიძვირის და ასოთამწურობების უძოვნელობის გამო, რედაქცია პირ ნათლათ ვერ ასრულებს თბვის მოვალეობას და გარდა ორი წიგნისა, იანვრის და თებერვლის ნომრებისა, სელის მომწერლებს აწოდებს მხოლოდ ამ ორ წიგნს კუნწულას.

11 559



პატარა მკითხველებს

# კულტურა.

II


წელიწადი ოცდამეცხე.




თ ფ ი ლ ი ს ი.

სტამბა რკინის გზისა, ანდრეევის ქუჩა, შენობა № 50.

1917



ქართველი მეზროლი დედა.



## პ ე ჰ ე ლ ა

ნუ, ნუ მახლებ ჩემო კარგო, პაწაწა ხელს,  
მსურს მოვევლო სიყვარულით ტყე-მინდორ-ველს.  
დღეს პირველათ ვნახე სხივი მოკისკასე,  
სული ლაღობს, სული ცელქობს შვებით სავსე.

შეხე სიო ბუჩქ-ფოთლებში როგორ ფრინავს,  
ვაზის ყელზე მარგალიტის მძივი ბზინავს,  
ია ჩუმათ იღიმება მინაბული,  
ვარდს უგალობს გაიდონა მოხიბლული.

რუ რაკრაკებს „გაზაფხულდა ვათბა გული,  
კლდის ყვავილნო, დღეს მეც ძალ-მიძს სიყვარული.“

კლდის ყვავილნი მორცხვათ უცქერს ბროლის სარკეს,  
 ეშხით მთვრალი ელიმება თვის ანარეკლს.

გაზაფხულის თეთრი შუქი თრთის და ფრინავს,  
 ირგვლივ ყველგან სიცოცხლის სახე ბრწყინავს,  
 მეც მსურს დავსტკბე წუთიერი აღმაფრენით,  
 ფრთა გაფშალო, გადავფრინდე გიჟურ ლხენით.


მაშ ნუ მახლებ ჩემო კარგო პაწაწა ხელს,  
 მსურს მოვევლო სიყვარულით ტყე-მინდორ-ველს.

მიმქრალი.



# მრი რეპოლუსის ბაირალტარი.

I



ატარა ილომ, მკერვლის შაგირდმა, დედის გამოსთხოვა პატარა წითელი ნაჭერი. საცალა ჯოხის ნატეხი იშოგენა, გათალა, გაასუფთავა, ზედ ლურსმით წითელი ნაჭერი მიაკრა და ის იყო ეზოს კარებში უნდა გამოსულიყო და საზოგადო მეჯლისს შეერთებოდა, რომ თავიანთი მდგმური ივანე დალაქი შეხვდა და ხელი დაუჭირა.

— მოიცა, ბიჭო! სად გარბიხარ, ქუჩაში საშინელი არეულობაა; ვისაც წითელ დროშებს დაუნახავენ, ართმევენ, სცემენ, პირში აფურთხებენ...

— უიმე ქა, რეებს ამბობ, ადამიანო! — შეჰყვირა ილოს დედამ მართამ და შვილს მიეკრა: — არ გახვიდე გენაცვალოს დედა და ეგ რაღაც ბაირალია მიმაღე სადმე, რა ხუმრობაა, პოლიციელებმა რო დაგიჭირონ!

— რას ამბობ, დედა, რასა! რა პოლიცია, რა დაჭერა! მთელი ქალაქი კარშია, მღერის, თამაშობს, იცინის... ამბობენ ხელმწიფემ მთელ ქვეყანას თავისუფლობა უბოძაო. ყველა კაცი თავის თავის პატრონიაო, რასაც უნდა იმას იქსო, ოღონდაც სხვას ხელს ნუ შეუშლისო, და განა შენ თითონ არ ხედავ, ამ ორ სამ დღეში რა ამბავია! პოლიციელები კუთხეში მიკრუნჩხულები სდგანან და ხალხის სიხარულს სიხარულით უცქერიან. იქნება იმათაც უნდათ, რომ ასკიკუკუ ითამაშონ, მაგრამ პოლიციელი მარტო იმისთვის არის გაჩენილი, რომ კუთხეში იდგეს და აქეთ იქით თვალეზი აბრიალოს!

— ჰო, მართალია, ორი სამი დღე სწორედ აგრე იყო, მაგრამ ახლა სხვა არის!—თავის გაქნევით თქვა დალაქმა.—ეხლა პოლიციელები ისევ მგლის ტყავში გაეხვივნენ. მე ჩემის თვალით ვნახე...

„გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!“ — მოისმა ქუჩიდან კიჟინი, ხალხის გრიალი და შესწყვიტა ივანეს ამბავი.

სუყველანი კარში გავარდენ ხალხის საცქერლათ. იღომ ისარგებლა ამით, დაავლო თავისს პატარა ბაირალს ხელი და კარში გავარდა.

— ილო, შეილო, ბიჭო!—გამოეკიდა მართა თავისს შეილს, მაგრამ ის სწრაფად შეერია ხალხის ზღვას, რომელიც მდოვრედ, ხელი-ხელ გადაბმული მიიკლაკნებოდა ქუჩაზედ და თავისუფლების ჰმნს გალობდა. წითელი ბაირალები წარწერით; „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ნელა ნელა ფრიალებდა ხალხის თავზედ. იღოს წითელი ბაირალიც მიემატა წითელ თავისუფლების ათას სხვა ნიშანს, ილიკოს პატარა წკრიალა ხმა ათას, გულიდან ამონახეთქს, თავისუფლების გრიალს.

შებინდა, ცოტა ოდნად ჟინჟლოავს, მართა თავისს პატარა სახლის ალაყაფის კარებში სდგას და თავით ფეხებამდის თრთის.

— ღმერთო ჩემო, ნეტა სად დაიკარგა ი ბიჭი!... კი არა შეემთხვას რა, იმ უბედურს შეილს! აი დაღამდა კიდევ, იქნება ეხლა მაინც სახლი მოაგონდეს...

— ოჰ, მართაჯან, რო იცოდე, რა ამბავია ქვეყანაზედ: რა ამბავია, გაგიჟდები! თოფით დახოცილებს, ცხენის ფეხებით დაქყლეტილებს სულ ფურგუნებით ზიდავენ... მკვდარს, ცოცხალს სულ ერთად ჰყრიან... შიშით წელი მომწყდა... მოვდივარ და ფეხებს ძლივს მოვათრევ... ნეტავი შენა, რომ კარში არ იყავი, ის საცოდაობა არა ნახე...

— რა ამბავია, ადამიანო? კანკალით შეეკითხა მართა თავისს მეზობელს მაიას... რა მკვდრები, რა თოფის სროლა?...

— რა ამბავია? არა გაგიგია რა? ნუ თუ აქამდის არ მოაღწია იმ ხმამ, რომ ორი ბრბო ხალხისა, ერთი წითელი ბაირაღებით და მეორე ქრელით, ერთმანეთს შეეჯახნენ... რომ ქრელ ბაირაღებიანებს ჯარი მიეშველა... თოფები დაახალეს...

— წითელ ბაირაღებიანებს... თოფები დაახალეს...

შესწივლა მართამ და დატორტმანდა—ვაიმე შვილო, შვილო!—და გიჟივით გაიქცა ქუჩაზედ, ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა, ისევ მალე ადგა და გაიქცა.

ქუჩები ჩაბნელებული ცარიელი იყო, ჩამი-ჩუმი არსაით ისმოდა, მართას თავისი გულის ძაგა-ძუგი მკაფიოდ ესმოდა.

— გაჩერდი!—ამ სიტყვებით იმას წინ გადაეღობა პოლიციელი და ჩხრეკა დაუწყო.

— ოჰ, რას შვრები, რა გინდა ჩემგან? გამიშვი, შვილი დავკარგე... საით წავიდე, სად მოვძებნო, მე უბედურმა...

— შვილი დაკარგე?! სად იყო? იარაღი ჰქონდა, საბრძოლველათ წავიდა? გაფაციცებით ეკითხებოდა პოლიციელი მართას.

— იარაღი რად უნდოდა, ბალღი იყო, თორმეტი წლისა... ხელში პატარა წითელი ბაირაღი ეჭირა.

— წითელი ბაირაღი?! ჰმ, წითელი ბაირაღი? მაშ წადი ქალაქის სამკურნალოში, წითელი ბაირაღებიანები იქ ბევრი წაიღეს. მართა კვლავ დატორტმანდა... პოლიციელმა რომ დაინახა მართას ვაება, ცოტა რბილათ დაუმატა, იქნება დაქრილი იყვეს.

— დაქრილი! დაქრილი ჩემი პატარა ბიჭი, ვისგან, რად? ვის რა დაუშავა...

— წადი, წადი საავადმყოფოში... მე შენთვის არა მცალიან...

ბევრი იხეტიალა მართამ ჩაბნელებულ ქუჩებში და რის ვაივაგლახით მიაგნო საავადმყოფოს. აუარებელი ხალხი ტრიალებდა ეზოში. ქალი, კაცი, ყმაწვილი, მოხუცებული ერთ გვარ მწუხარებით იყო გადარეული. ყველას გულში ცეცხლი ტრიალებდა,

ყველა მართასავით თავისს დაკარგულ ძვირფასს ქმნილებას ეძებდა და თრთოდა, რომ მკვდართა შუა არ აღმოჩენილიყო ეს მისთვის ძვირფასი ქმნილება. თეთრ ბალახონებში გახვეული ექიმები, ფერშლები, სათნოების დები დაღალულნი, ქანც გაწყვეტილნი ცდილობდნენ ყველასათვის პასუხი მიეცათ.

მუხლ მოკვეთილი, გაფითრებული, თმებ გაწეწილი მართა საშინელ სანახავს წარმოადგენდა, როდესაც ის მიუახლოვდა ერთ-ერთ „დას“ და შეკბლავლა:—ჩემი შვილი, ჩემი პატარა ილო, წითელ პერანგა ილო აქ არის... ცოცხალია...

— წითელ პერანგა, პატარა ბიჭი?... ჰო... მგონია...

— ჰა, ჰა! რა იცი, მითხარი? ოღნავის ჩურჩულით წაიჩურჩულა მართამ და ჩაიკეცა, თმები მალლა წაუვიდა, თვალები გიჟივით აენტო.

სათნოების დას ამ საშინელის მწუხარების დანახვაზედ თვალები ცრემლებით ავესო და პირი მიიბრუნა და დაღონებით უთხრა:—უკანა ეზოში წადი, მეც ეხლავე მოვალ.

საავადმყოფოს უკანა ეზო ფარნის ბჭუტავი შუქით ოღნავ იყო განათებული. კედელთან რიგზედ დალაგებული რამდენიმე კაცის გვამი გაარჩია მართამ. მათ შორის ორი ყმაწვილისა იყო. ერთი თოთხმეტ-თხუთმეტ წლის ქაბუკისა, საბაღოსნო სკოლის ფორმით და მეორე წითელ პერანგა, პატარა ილოსი... დედა ფორთხვით მიცოცდა პატარასთან და შვილის გულზედ უგონოთ დაეცა, გარშემო არავინ იყო, რომ იმისთვის ნუგეში ეცა, მოებრუნებინა... ეზოს კარებში პოლიციელი გაშეშებულივით იდგა და გარშემო მას სრულიად არ აინტერესებდა. მართა მალე მოვიდა გონს, გიჟივით თავი მალლა აიღო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ისევ ილოსს მკერდს დაეყრდნო... სმენათ გადაიქცა. დედის გული გაჩერდა, სული შეუგუბდა, ტვინის ძარღვები უკანასკნელ წერტილამდე დაეჭიმა... უცემს... უცემს... გული უცემს... ჩურჩულობდა მართა, არ მეჩვენება? ნამდვილად სცემს... ნელა, ნელა... ოღნავ... მაგრამ კი უცემს...

— რას ტუტუნებ? ადექი, ღმერთი განუგეშებს! დაუწყო წვევა და ცრემლებით სავსე ხმით ნუგეში სცა ყმაწვილმა დამ სათნოებისამ, რომელიც მართას დაპირებისამებრ, მალე უკან დაედევნა.

— გული უცემს... უცემს... კვლავ ამოიხურჩულა მართამ.

— შე საწყალო! რა საფიქრებელია! დილას უკანია უნძრევლათ ძევს... ადექი, გენაცვალე... ოთახში უნდა შეასვენონ.

მართა კი შვილის გულს ყურს არ აშორებდა. უცემს... უცემს... კიდევ წაიხურჩულა იმან და იმედით სავსე თვალეები ყმაწვილ ქალს მიაპყრო.— უშველე... ჩქარა... ჩქარა... სიცოცხლე არ ჩაქრეს, ოდნავ ბეუტავს...

ქალი მხოლოდ ეხლა დარწმუნდა, რომ მართას შეშლილობით არ მოსდის და სწრაფად დაიჩოქა, ყური დაადო პატარა მკერდს, საიდგანაც ოდნავ, მაგრამ მკაფიოდ მოისმოდა გულის ძგერა. ის საჩქაროდ წამოხტა და ექიმის მოსაყვანათ გაეშურა. მართა კი მათ მოლოდინში გაქვავებულივით ეგდო და შვილის ძვირფასს სახეს თვალს არ აშორებდა.

თითქოს დედის თვალის ელექტრონის ძლიერებით ილომ ქუთუთოები ოდნავ ასწია და ნაზად, როგორც ეთერის მოძრაობა, გაიღიმა.

— შვილო! შვილო...ო...ო! ისეთის ძლიერებით შეჰკივლა მართამ, რომ ამ სიკვდილის და ვაების მიდამოში მეორედ მოსვლის საყვირის ხმათ გაისმა და წამზედ მიყუჩებული ეზო ხალხით აივსო.

ილო მალე გამოცოცხლდა, მისმა ყმაწვილმა, ძლიერმა სისხლმა ადვილად შეისრულა თავისი დანთხეული ნაწილები. კარგმა მოვლამ, რიგიანმა საკმელმა ხელი შეუწყო და დედის ძლიერის მწუხარებით გაღვიძებული მისი მომაკვდავი გული კვლავ მძლავრათ ათამაშდა. მხოლოდ ლამაზი ბიჭი სამუდამოთ დასახიჩრებული დარჩა. ის მარჯვენა რომლითაც წითელ ბაირალს აფრიალებდა, მტრის ხელით მოტეხილი აღმოჩნდა და ექიმებმა მოჰკვეთეს.



## II

ინდი იყო, ოდნავ ბეუტავ ლამფასთან მარჯვენა მოტეხილი ილო იდგა, დღეს ოცდა ოთხის წლისა წვერულვაშით შემკული და ფრიად დარბაისლურის შეხედულობით ვაჟკაცი, ლურჯ სამუშაო სუფთა ხალათით გამოწყობილი. თორმეტი წლის და მარიკელა, გულზედ წითელ ნაქრის ნიშანს უკეთებდა, აქვე ტახტზედ კარგა მოზრდილი წითელი ბაირალი იდო გაშლილი და ზედ ლამაზი მრგვალი ასოებით ეწერა: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! გაუმარჯოს რევოლიუციონურ საქართველოს!“

— ეს რა ანბავია! გოაცებით შეჰყირა ოთახში შემოსვლის უმაღლ მართამ და მთლად გაფითრებული მივარდა ბაირალს: — წითელი ბაირალი, წითელი ბაირალი, შორს ჩვენგან, შორს!

— განა ერთხელ არ გვეყო მაგისგან აოხრება, რომ კვლავ სახლში შემოგიტანიათ? აბა მარჯვენაზედ დაიხედე! და აი ამ სიტყვებთან ერთად მართა ის ის იყო ბაირალის განადგურებას უნდა შესდგომოდა, შეიღმა მარცხენა ხელით შეიმაგრა.

— რას შვრები, დედა? მოიცა, გამიგონე რა გითხრა, განა საცხა სარეცხს რეცხავდი, ისინი მკვდრები იყვნენ რომ რევოლიუციის გამარჯვების ამბავი ვერ შეგატყობინეს? ვერ გაიგე აქამდინ, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა? დედიჯან, გაიმარჯვა და მერე რა ბრწინვალედ, რა ადვილათ, უბრძოლველათ, სისხლის დაუღვრელათ! — რუსთა მეფე ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოგდებულია, მთელ რუსეთს ხალხისაგან არჩეული მართველობა განაგებს, ხალხი ბედნიერებით სავსე, თავისუფლების გამარჯვებას დღესასწაულობს. ჩვენი ქალაქიც სიხარულით ბანს აძლევს, საერთო ზეიმს სამძღვარი არა აქვს. ჯარი ხალხს მიემხრო, სამხედრო ბაირალებიც წითლათ არის შედებილი, იმათაც რევოლუციის გამარჯვება აწერიათ თავისუფლების აღდგენის ნიშნად წითლათ ფრიალებენ!

დღეს ჩვენი პარტიის დიდი მიტინგია. მე აგიტატორათ ვარ არჩეული, სიტყვა უნდა ვთქვა საჯაროთ, უნდა ყველას ცხადათ

დავანახო, რომ თუ ახლაც რევოლიუცია არ გავამაგრეთ, თუ ყველამ მხარი არ დაუჭირეთ დროებით არჩეულ მართველობას, რომ კვლავ მარჯვენის მოტეხა მოგველის, კონტრევოლიუცია დაგვიმონებს...

— რეებს ბოდავ, რეებს მეუბნები! „რევოლიუცია, კონტრ-რევოლიუცია“! რა მესმის მაგისი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ წითელმა ბაირადმა ამ თორმეტი წლის წინად მარჯვენა წაგვართვა, კინალამ სიცოცხლეც და ამისათვის მაგის დანახვაზედ გული გამისკდა, თვალთ დამიბნელდა.... მე შენ ნებას არ მოგცემ, რომ ეგ კარში გაიტანო, არც შენ გაგიშვებ სიტყვის სათქმელათ... ოჰ, წყეულიც იყოს ის დრო! ჩვენებიანთ გიორგი არ იყო, რომ სიტყვის თქმის დროს, ფეხით გაჰქეღეს? ჩვენი მეზობელი ნიკოლა შორეულ ციმბირში გადაასახლეს... და კიდევ რამდენი სხვა ათასი გაუბედურდა, დაიღუპა უგზო უკლოთ... და აცახცახებული მართა შვილს მუხლებში ჩაუვარდა:

— ოჰ, შვილო, ძვირფასო შვილო, ხელმეორედ ნუღარ მიჩვენებ შენ უბედურობას, ნუღარ მოჰკლავ შენ ვაგლახ დედას!

— დამშვიდდი, დედა, დამშვიდდი! კარგათ მოისმინე, გაიგე, დაიჯერე!

— რევოლიუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა, იმიტომ რომ ხალხს, აჯანყებულ ხალხს, ჯარმაც მხარი დაუჭირა, ჯარმაც, გესმის? მთელმა რუსეთის არმიამ, რამდენიმე მილიონმა ჯარის კაცმა და აფიცრობამ ხემწიფობის მოსპობა დაადასტურა და ხომ იცი რა ძალაა ჯარი, შეიარაღებული? და მერე ახლა, ამ საშინელი ომიანობის დროს, როდესაც თითქმის ქუღზედ კაცია გაყვანილი, როდესაც საუკეთესო, რჩეული ვაჟკაცობა ჯარშია!

— მაშ ჯარმაც ხმა მისცა ხალხს? ჰო, ჯარიდღი სიმაგრეა, დიდი ძალაა, მაგრამ აქ რომ ჟღერა მოხდეს, ჯარი რას გვიშველის, ჯარი ხომ საომრად არის წასული!

— ხა, ხა! გადიხარხარა, საზოგადოდ, მეტად აღელვებულმა ილომ. შენ ისე ლაპარაკობ თითქოს ამ ქვეყნად არ იყვე მცხოვ-

რები და ვერაფერს ხედავდე — ჯარი დიდია, დიდი, უშველებელი, საესეა ჯარით მთელი ქვეყანა, აქაც და იქაც, ბრძოლის ველზედ უთვალავია და აი ამდენმა ხალხმა შეიგნო, გესმის შეიგნო, და მიხვდა, რომ სხვა უბედურობის გარდა, ომიანობაც, ხალხების ერთმანეთის ჟღერა მეფეების ბრალია, იმათის განკარგულებით არის დაწყებული, რომ მეფე — ერთი კაცი, — მამაკვდავი კაცი, ბევრჯელ ლოთუბაში, უმზგავსი, უზნეო, მთელ ხალხებს ბრძანებლობს, ძმას ძმის სისხლს აღვრევენებს, თავის ქეიფზედ ატრიალებს ქვეყანას და ეს ძლიერება, ეს თვითმპყრობელობა ხელიდან გამოგლიჯა ერთ კაცს, და ქვეყნის მართვა-გამგეობა თითონ ხალხმა იღო თავს.

— ხალხმაო? ხალხი ხომ უთვალავია, უშველებელი და მასთან, ბევრჯელ, შეუგნებელი, რეგვენი, უზნეო, ქვეყნის მართვა კი დიდ ჭკუას, დიდ სარისტას, დიდს თავგანწირულობას თხოულობს...

— მართალს ამბობ, დედა ჩემო. დიდ ჭკუას, დიდ სარასტას, დიდ თავგანწირულობას და ზნეობას ძრიელებას თხოულობს და ხალხიც თავიანთ შორის მაგვარ თავგანწირულებს და ჭკუით საესეებს აირჩევს და თავის ბედს იმას ჩააბარებს და თუ ვინიცობაა ის რჩეულნიც არ გამოდგებიან, იმათ იმედებს გაამტყუნებს, მაშინ სხვებს ჩააყენებენ და ძველებურათ მემკვიდრეობით გაბატონებულ მხეცებს თავზედ აღარ დაისხავს, აღარ გეექელვინება, იმათ თვით ნებობას აღარ დეემორჩილება!

— და აი, დედა ჩემო, ეს ხალხის გამარჯვება ძველის ძველის და მყრალის მართველობის დამხობასა რევიოლიუციისა ჰქვინ.

ამ თორმეტი წლის წინათ, როდესაც მეც და შენც კინალამ მსხვერპლათ არ შევეწირეთ, რევიოლიუცია იყო, მაგრამ მაშინ ხალხი გამოუცდელი აღმოჩნდა, ბავშვივით აბილბილდა, მიეხეთქა მოეხეთქა, საქმეს გულდასმით არ უპატრონა და მუხანათმა მეფემ კონტრევიოლიუცია მოახდინა. ჯერ წელში არ გამაგრებული ხალხის გამარჯვება გაქელა, დედამიწასთან გაანადგურა. მაგრამ ეს კი

უფრო იმიტომ მოხდა, რომ ჯარი ისევ მეფის მომხრე იყო და იმის ბრძანებას ასრულებდა და ამ ბრძანებით ხალხი აიკლო, მთელ ქვეყანაზედ სახრჩობელებების ბოძები დაარქო. ათასობით ჩამოახრჩო აჯანყებული მეთაურები.

ეხლა სულ სხვაა, სულ სხვა ჯარიც და ხალხიც შეგნებულია პირველმა რევოლიუციამ თუ მარჯვენა მომტეხა, სამაგიეროთ ქკუა გამიფხიზლა, გონების თვალი გამიხილა, თორმეტი წლის სამზადისმა ახალი რევოლიუციისთვის დამავაჟაკა და მეც უნდა ჩემი გამოცდილება სხვას გადავცე, მოვამზადო, სიტყვით, საქმით.

— ამხანაგო მზათა ხარ?

კარებიდგან მოისმა რამდენიმე ვაჟაკის ხმა და ილოც მარცხენა ხელში წითელის ბაირალით, გულზედ წითელის ვარდით, მათ გამოუდგა.

მართამ შვილს კალთა აღარ დაუჭირა. ეს კარგათ მიხვდა იმის ნათქვამს, იმის შეუკავებელს სურვილს მოქმედებისას და გზა მისცა.

იმან მხოლოდ კვირადღის სანთელი აინთო ხატთან და შეჰლადა! „ოხ მაცხოვარო, მიეც გამარჯვება ხალხის შეილებს და ნულარ გვახილვინებ ძმათა შორის სისხლის ღვრას და შურის ძიებას დაუსრულებელს“...

ეკატ. ვაბაშვილისა.



## რუსეთის რევოლუცია.



თელი დედამიწა შესდგება სხვა-და-სხვა წვრილ და მსხვილ სახელმწიფოებისაგან.

ყოველ სახელმწიფოსა აქვს საკუთარი კანონები, ჰყავს საკუთარი მთავრობა.

ზოგან, როგორც მაგალითად გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, იაპონიაში და სხვა. მთავრობისა და სახელმწიფოს სათავეში მეფე არის, სხვაგან კი არა.

მეფობა კანონით გადადის მეფის უფროს შვილზედ, რომელიც ითვლება ტახტის მემკვიდრეთ როდესაც მთელ სახელმწიფოს მართავს მარტო მეფე და მისი მთავრობა და ესენი ანგარიშს არავის არ აძლევენ, ასეთს წყობილებას ეწოდება განუსაზღვრელი, თვითმპყრობელი ხელმწიფე. ასეთ სახელმწიფოში ხალხი წარმოადგენს ქვეშევრდომს და სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მონაწილეობას არ იღებს, რადგანაც მას ამის ნებას არ აძლევენ.

ხოლო როდესაც, სახელმწიფოს მართვას ისეთი მთავრობა, რომელიც პასუხის მგებელია ხალხის წარმომადგენლების წინაშე, ასეთს წყობილებას ეწოდება განსაზღვრული, შეზღუდული ანუ საპარლამენტო სამეფო, რადგანაც ხალხის წარმომადგენლების კრებულს, ყრილობას უწოდებენ პარლამენტს.

თებერვლის რევოლუციამდე უზარმაზარი რუსეთი წარმოადგენდა განუსაზღვრელ სამეფოს.

მთელი რუსეთის სახელმწიფოს განაგებდა მეფე, რომელიც ითვლებოდა თვითმპყრობელათ, ე. ი. ის ისე აწარმოებდა მთელი სახელმწიფოს საქმეებს, როგორც მას თვითონ სურდა, ის თვითონ ირჩევდა ისეთ მინისტრებს, რომლებიც მას მოსწონდა და ხალხს კი არასდერს არა ჰკითხავდა. ამ მინისტრებს ეწოდებოდა მთავრობა.

მთავრობა და მეფე ერთათ ჰმართავდნ მთელ ქვეყანას, რასაც ისინი დაადგენდნ, ის იყო კანონი. ისინი იყვნენ სრული ბატონები, ხალხი კი მათი ყურმოჭრილი ყმა.

როდესაც რამოდენიმე კაცი განაგებს მთელი ქვეყნის საქმეებს და თვითონ ხალხს კი არასფერი არ ეკითხება, შეუძლებელია, რომ ხალხი ბედნიერი იყოს და საქვეყნო საქმე კარგათ მოეწყოს.

რუსეთის საქმეც კარგათ არ მიდიოდა. ხალხი ღარიბი იყო, ლატაკი, მშიერი, გაუნათლებელი.

ამიტომ ამგვარ მეფეს და მთავრობას ბევრი წინააღმდეგი ჰყავდა, მაგრამ მეფე და მთავრობა ჯარის შემწეობით ყველას ვრეოდა.

მეფესა და მის მთავრობას რომ თვისი ბატონობა შეენარჩუნებიათ, ყველას ავიწროებდნ, ყველას სდევნიდნ, არავის არ აძლევდნ თავისუფლათ ლაპარაკის, წერის, შეკრების ნებას. ვინც კი მათ წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ციხეში ამწყვდედნ კატორღაში აგზავნიდნ, სიკვდილითა სჯიდნ.

ხალხის შესავიწროებლათ სხვა-და-სხვა კანონებს იგონებდნ და ამით ყველას აშინებდნ, ყველას იმორჩილებდნ.

ბევრმა საუკეთესო ადამიანმა შესწირა თავი ხალხის განთავისუფლებას ასეთი მეფესა და მთავრობისაგან, მაგრამ არა გამოვიდარა, სანამ თვითონ ჯარმა არ დაინახა, რომ ხალხი იღუპებოდა.

როდესაც ჯარი გადაუდგა მეფესა და მის მთავრობას, ხალხმა გაიმარჯვა, მეფე და მისი მთავრობა დაატუსაღა და ახალი აირჩია.

რითი განსხვავდება ახალი მთავრობა ძველისაგან?

ახალ მთავრობას ირჩევს ხალხი, ძველს კი ირჩევდა მეფე.

ახალი მთავრობა ისე მოაწყობს მთელი სახელმწიფოს საქმეებს, როგორც თვითონ ხალხს უნდა.

ძველი მთავრობა კი ისე აწყობდა საქმეებს, როგორც მასა ჰსურდა და ხალხს არასფერს არა ჰკითხავდა.

თუ ხალხმა ახალ მთავრობას უთხრა: შენ არ გენდობიო, ახალი მთავრობა მაშინათვე გადადგება და მის ალიგას სხვას აირჩევს ხალხი.

ძველ მთავრობას კი ხალხი ვერაფერს ვერ გაუბედავდა და ვინც გაუბედავდა, იმას ციხეში დააღობდნენ.

წინეთ ჩვენ ყველანი ვიყავით მონები. დღეს კი ჩვენ ყველა ვართ თავისუფალი ადამიანები, თავისუფალი მოქალაქენი. მეფე ვინლა არისო, იკითხავ შენ.

არავინ.

ყველა სახელმწიფოში ხომ მეფე არ არის, აი მაგალითათ საფრანგეთში, ამერიკაში, არ არის მეფე. იქ ხალხი ირჩევს რამდენიმე წლის ვადით ერთ კაცს და მასა ჰქვია პრეზიდენტი ე. ი. მეთაური, ერის თავი.

ჩვენში უკვე დასრულდა და მთელ რუსეთშიაც მალე დამთავრდება დეპუტატების არჩევნები დამფუძნებელი კრებისათვის.

რა არის ეს დამფუძნებელი კრება.

თუ კრებაა მაშასადამე ვინმე უნდა შეიკრიბოს; შეიკრიბებიან ის პირები, რომლებსაც ხალხი აირჩევს. აკი სწორდენ გაზეთებში, ხმა მიეცით პირველ ნომერს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს და სხვა.

ვისაც ვინ მოსწონს, ვისაც ემხრობა, ვისაც ენდობა, იმას ამოირჩევს. საარჩევნო უფლება ყველა სრულ წლოვანსა აქვს. ეს არჩეული კაცები არიან დეპუტატები, მაგრამ რათ ეწოდება იმათ კრებას დამფუძნებელი კრება. როგორც თავში ვთქვი, ყოველ სახელმწიფოსა აქვს საკუთარი კანონები და ამ კანონების მიხედვით ცხოვრობს იქ ხალხი.

რუსეთი წარმოადგენდა თვითმპყრობელ, განუსაზღვრელ სახელმწიფოს და ამგვარი წყობილების შესაფერი კანონებიც იყო.

დღეს რუსეთში თვითმპყრობელი მეფე კი არა, არავითარი მეფე აღარ არის, რუსეთის სახელმწიფო რესპუბლიკათ არის გამოცხადებული.

ამგვართ რუსეთში რევოლუციის წყალობით სახელმწიფო წყობილება შეიცვალა, მაშასადამე უნდა შეიცვალოს ძველი კანონებიც.

ის კანონები, რომლებზედაც დამყარებული იყო თვითმპყრობელი მეფის რუსეთი, რესპუბლიკას აღარ შეეფერება, აღარ გა-

მოადგება. საჭიროა ახალი კანონები, რომლებზედაც უნდა დაემყაროს, დაეფუძნოს რუსეთის ნორჩი რესპუბლიკა.

აი ეს რესპუბლიკის დასაფუძნებელი კანონები უნდა დაადგინოს ახალი დებუტატების კრებამ და ამიტომ ეწოდება მას დამფუძნებელი კრება.

რესპუბლიკის და საერთოთ ისეთი სახელმწიფოს კანონებს, სადაც მთავრობა პარლამენტის წინაშე პასუხის მგებელი, ეწოდება კონსტიტუცია.

რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაადასტუროს, რომ რუსეთი წარმოადგენს რესპუბლიკას და შეადგინოს ამ რესპუბლიკის კონსტიტუცია.

როდესაც დამფუძნებელი კრება შეადგენს ამ კონსტიტუციას, ნამდვილი ახალი ცხოვრება რუსეთში მაშინ დაიწყება.

საქვეყნო საქმეებს განაგებს პარლამენტი ანუ დებუტატების კრება; მთავრობა იქნება პარლამენტის მოძრჩილი, მთავრობის სათავეში იქნება ხალხის მიერ რამდენიმე წლით არჩეული პრეზიდენტი.

რუსეთი წარმოადგენს ისეთს სახელმწიფოს, სადაც რუსებს გარდა ბევრი სხვა ერი ცხოვრობს.

ყველა ერები რასაკვირველია დარჩებიან რუსეთშივე, მაგრამ ყველამ უნდა მიიღოს თავის სამშობლოში ისეთი უფლება, რომ ყოველი ერი თვითონ განაგებდეს საკუთარ საქმეებს.

ამას ეწოდება ეროვნული თვითმართველობა ანუ ავტონომია.

ჩვენი სამშობლო საქართველოც იქნება რუსეთის რესპუბლიკის ნაწილი. რუსეთის მთავრობა იქნება ჩვენი მთავრობაც.

მაგრამ ამასთან ერთათ ქართველი ხალხი ამოირჩევს საკუთარ დებუტატებს, გაიჩენს საკუთარ პარლამენტს თფილისში და საკუთარ მთავრობას.

ესენი იქნებიან რუსეთის პარლამენტისა და მთავრობის ხელქვეითნი, ხოლო საქართველოს საქმეებს თვითონ გაუძღვებიან.

ივ. გომართელი.



## როგორ იკურნებიან ცხოველები.



ს იყო ნადირობის დრომ მოაღწია. მონადირენი ტყეში ბლომათ გამოჩნდნ.

ერთხელ ნადირის დევნათ მოქანცული იქვე ტყეში, ცივ ნაკადულის პირას მივჯექი; უცებ ჩემ პირდაპირ გაღმით, მაღლიდან ჩამოეშვა წყალზე ტყის ქათამი. ერთი მიიხედ-მოიხედა და რომ ახლო-მახლო ვერავინ შეამჩნია დამშვიდებული მიგოგმანდა წყალთან და შიგ ჩახტა. მე ამ ფრინველის დანახვაზე აზრათ მომივიდა.

— ეს ქათამი უსათუოდ დაქრილი უნდა იყოს, წყლის დასალევათ და დაკოდილი ადვილის მოსაბანათ თუ ჩამოვიდა.

მე გავიტვრინე, უფრო ახლოს მივედი და დაუწყე ყურება. ტყის ქათამმა ვერ შეამჩნია. ნეტავ რითი იყო გართული ესე ამ ნათელ ღღეში?

და დავინახე შემდეგი: ქათამმა აიღო თავისი გრძელი ნისკარტით სველი მიწა და გაისვა ფეხზე, მუხლთან. შემდეგ წაგოგმანდა ასკინკილათ, ფრთების დახმარებით. მივიდა ერთი მწვანე ბალახის ბლუჯასთან, ამოაძრო რამდენიმე ღერი და მტკივან ფეხზე შემოირტყა, მერე ისევ მივიდა ნაკადულთან და ზემოდან კიდევ სველი მიწა გაიგლისა ბალახის გასამაგრებლათ, მაგრამ ეხლა ისე სქლათ დაიღო მიწა, რომ ადვილათ შეამჩნევდით ტალახის სისქეს მტკივან ფეხზე.

ხელ მეორეო მიფოფხდა ცალ ფეხსა, ჩაჯდა სქელსა და მაღალს ბალახებში. დაჰყო სულ გაუნძრევლათ თითქმის ერთი საათი და მოთმინებით უცდიდა მიწის შეხმობას. ბოლოს დაიფთხილა და ტყეში მიიმალა.

როგორც სჩანდა ქათამს ფეხი მოსტეხოდა და იმიტომ დაიდვა სველი მიწა, რომ მოტეხილი სხეული სწორა მიხორცებოდა.

ეს ისეთი საკვირველი და არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ არავისთვის არ მიაჩნია და არ გამიზიარებია ჩემი აზრი, რად-

გან მე თვითონ ექვი შემეპარა სინამდვილეზე და ან ჩემ ნაამბობს ვინ დამიჯერებდა.

გავიდა კარგა ხანი მას შემდეგ. ერთხელ ჩვენი ქალაქის კლუბში ცხოველებზე კითხულობდენ. ერთი ჩემი ნაცნობი მომიახლოვდა და შემდეგ მიაშბო:

— ერთხელ ჩემი ამხანაგით, ასე დაიწყო მან, — ვნადირობდით. ვესროლე ტყის ქათამს და მოგვკალი. ძაღლმა მოკლული ფრინველი მოგვიბრუნა. როცა შინჯვა დაუწყო, ფეხზე რაღაც გამხმარი მიწის ნაგლესი შევამჩნიეთ. ერთხილათ ჯაყვა დანით ჩამოვაცალეთ და ვნახეთ რომ გამხმარ მიწის ფეხი მოტეხილი ჰქონოდა, მაგრამ ეხლა სრულიათ მიხორცებოდა ისე სწორა, როგორც დაუზიანებელი ფეხი ჰქონოდა და თუ არ მოგვეკლა სულ ცოტა ხანში თავისი მოგრძო ნისკარტით ჩამოიცილიდა ამ გამხმარ მიწას.

ამის შემდეგაც ხშირათ წავწყდომივარ ისეთ შემთხვევებს, რომლებმაც სრულიათ დამარწმუნა იმაში, რომ ცხოველებს დაფრინვლებს შეუძლიანთ თითონვე თავი გაიკურნონ, სხვა და სხვა უბედურ შემთხვევებში. ისინი არჩევენ ბევრ ისეთ ბალახებს, რომლებსაც ჩმარობენ. დღევანდელ სამკურნალოებში.

მე ისიც გამიგონია, კიდევაც წამიკითხავს, რომ ცხოველების ცხოვრების დაკვირვებით არის აღმოჩენილი ზოგიერთი სამკურნალო ბალახი, ისე როგორც მაგალითათ ბილახი წინააღმდეგ ქარებისა, ციებისა და სხვა დაშხამული ადგილებისა.

თქვენ ალბათ შეგვხვედრიათ რა გაფაციცებით ეძებს კატა და ძაღლი ბალახს, როდესაც მუცლის ტკივილები აწუხებთ, ხარბათ გლეჯენ და სჭამენ რომ ბოლო მოუღონ თავიანთ ტანჯვას.

ინდოელებმა შეამჩნიეს, რომ ერთი მოხუცი დათვი, რომელსაც ქარები გასჩენოდა სთხრიდა გვიმბრის ძირს და სჭამდა, ან კიდევ გოგირდის ცხელ წყალში ბანაობდა. ინდოელებმაც მიმართეს ამ საშუალებას და ხშირათ იკურნებოდენ კიდევ.

ერთად ერთი ხსნა დაკოდლილი ცხოველებისა ის არი, რაც შეიძლება მალე მოიცილონ ის დაშხამული და დამპალი ნაწილი სხეულისა, რომლის მორჩენაც შეუძლებელია.

ბავშვობის დროს, როდესაც ისეთი ბოროტი ვიყავი რომ მესიამოვნებოდა ცხოველების ტანჯვა, ხშირათ ვუგებდი მახეებს ფრინველებს და ცხოველებს. ერთხელ მავთულის მახით დავიჭირე მთიხვი. მახე ისე ეშმაკურათ იყო მოწყობილი, რომ როგორც კი მიეკარებოდა რომელიმე ცხოველი, მაშინვე მახე წყალში ჩასრიალდებოდა და დააღბრჩობდა მსხვერპლს.

ასეთი მახის გაკეთება მასწავლა ერთმა ნაცნობმა ინდოელმა, რომლისგანაც ვტყობილობდი ტყის საიდუმლოებას და იმის მცხოვრებლების ზნე ჩვეულებას, ის მეუბნებოდა, რომ ეს მახე უფრო უკეთესი იყო სხვა მახეებზე, რადგან ცხოველი სხვა მახეში მოწყვეტილ ფეხს გადიღრნიდა და გაიქცეოდა, ამ მახეში კი დაშხეჩალს ტყავი მთელი რჩებოდა.

საუბედუროთ ხშირათ ისეთი ცხოველები დამიჭერია, რომელთ ან ერთი ფეხი ჰკლებია და ან ორიც.

ყველაზე უფრო გულში ჩამრჩა ერთი მთიხვი, რომელიც ერთხელ ჩემი დაგებული მახის წინ შევამჩნიე და ის იყო უნდა ნიშანში ამომეღო, მაგრამ შევხედე თუ არა თოფი დაბლა ჩამოუშვი. მთიხვი წყალში სულ სხვა გზით ჩავიდა, ისიც შევამჩნიე, რომ ორივე წინა ფეხი მოწყვეტილი ჰქონდა, სჩანდა ორჯერ გაბმულიყო ჩემ დადგმულ მახეში და ორივეჯერ გაქცეულიყო.

ამოვიდა თუ არა წყლიდან დიდი სიფრთხილით შეცოცდა ვიწრო გზის ნაპირზე, მიუახლოვდა დაგებულ მახეს, ჩაჰკიდა თავისი მომორვილი წინა ფეხები მახეზე დაგებულ თაღვამს და მიაძღა. მე განცვიფრებული ყველაფერს თვალს ვადევნებდი... მას აქეთ მივივიწყე თოფიც, მახეც. იმ ღამესვე ავხსენი ყველა ჩემი დაგებული მახეები და შემდეგში აღარ მიხმარია.

ამის მერე არას დროს სხვის დაგებულს მახეებთან ისე არ გამივლია, რომ ჯოხი არ ჩამეკრას და არ დამესხლიტა მახე ცხოველების საკეთილდღეოთ.

ამ საუბარში სრულიათ დამავიწყდა მეამბნა იმ მთიხვზე, თუ როგორ გადურჩა ის ორჯელ მახეს.

ორჯელვე მას ფეხები მოეწყვიტა და მიეტოვებია შიგ. წყლული ჯერ სრულებით არ ჰქონდა მოშუშებული და საშინლათ გა-

მაკვირვა, რომ დაკოდილ ადგილზე ხის წებო გავსვა ისე ოსტატურათ, რომ არავითარ მტვერს არ შეეძლო ვნება მოეტანა მისთვის.

მეორე ინდოელმა მიაჩნია: კვერნები ხშირათ გაბმულან ხოლმე ჩემს მახეებშიო და დაკოდილი ადგილები ამავე წებოთი ჰქონიათ ვაგლესილიო.

შარშან ერთ ინდოელს დაეჭირა ერთი დათვი, რომელსაც გვერდში დიდი ქრილობა აღმოაჩნდა და ამნაირივე წებოთთ იყო დაფარული, რომ სისხლის დენა შეეჩერებია.

ვინ ასწავლათ ყველა ეს იმათ, ვინ შეაგონათ?

ხშირათ ამბობენ, რომ ცხოველის ყოველი გონიერი მოქცევა ბუნების მიდრეკილების ნაყოფიაო, მხოლოდ მე კი ვიტყვი რომ იმათი მოქმედება მარტო ბრმა ბუნებრივი მიდრეკილება არ არი, უფრო სხვა ძლიერი ძალა ამოქმედებას.

ერთ შემთხვევას კიდევ გაიმბობთ. ერთხელ ირემმა ძლივ ძლიობით თავი დააღწია მდეგრებს, შეცურდა წყალში, მდინარე ყინულით იყო დაფარული, დიდი გაჭირვებით გავიდა მეორე ნაპირას. იმ წამსვე მიწვა თოვლზე და მიეძინა. ირემს რომ ასე სძინებოდა მთელი ღამე დაილუპებოდა, მაგრამ ის გონივრულათ მოიქცა. წამ და უწუმ გაიღვიძებდა, წამოდგებოდა ზეზე, მიიბრუნ-მოიბრუნდა და გახურებული ისევ მიიძინებდა. ამნაირათ ირემი მეორე დღეს ადგა ზეზე სრულიად ჯანსაღი და ღონით საესე.

როცა ირმის ნუკრს ზამთარში მიეძინება, დედა რამდენჯერმე გააღვიძებს, გაარბენ-გამოარბენებს და ისევ დააწვენს რომ გაციებისაგან დაიფაროს.

როგორ მიხვდენ ყველა ამაებს ირემები? რომ ჩაუკვირდეთ ყველა ცხოველების მოქმედებას, გაგიკვირდებათ. გაგიკვირდებათ ისიც რომ, როგორ მიაღწიეს ამათ ამ გონებრულ გზას.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



# უნდა დავაკერებინო!



ადილის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ დათიკოს კლავები უბატრონო კვდარივით აქეთ-იქით გადაეყარა და ისე მაგრა ეძინა, ქვეყანა რომ გადაბრუნებულყო ის ვერას გაიგებდა. სამაგიეროდ იმის ცხვირს-კი ისეთი ამბავი გაჰქონდა, იტყოდით მთელი ქვეყანა ამას დარჩენიაო. დათიკოს უშველებელი ცხვირი გამხმარ სახეზე დანგრეულ საბძელივით გვერდზე წამოსკუპოდა და კაი მომღერალივით ვინ იცის რა ჰანგზე არა გალობდა. ხან გაუსტვენდა, თითქოს შოშია სამრეკლოდან იძახისო; ხან-კი უცნაურად აწმუკუნტებოდა და აბა მაშინ უნდა გენახათ იქვე მის გვერდით იატაკზე მოცუცქულ ბროლიას თავში ცემა და ვაი-ვაგლახი.

ბროლია რაცა ხანია დათიკოს ყარაულად მოსჯდომოდა და აცრემლებული თვალეზით დიდხანს შესცქეროდა.

დათიკოს ცხვირის წმუკუნზე ძაღლიც უფრო ისეთას აწკმუტუნდებოდა, იტყოდით ორივე ერთსა და იმავეზე ჩივიანო, თან მეტი თანაგრძნობით შეწუხებული ძაღლი ხან თავს მგლოვიარესავით გვერდზე გადიგდებდა და მძინარეს თვალეზში მოუსვენრად ჩახედავდა, ხან ზეზე წამოვარდებოდა, ტახტს რამდენჯერმე შემოურბენდა და ხუჭუჭა, თეთრ ბალნიანი გორგალივით ისევ იმის გვერდით მოიბლუნძებოდა.

საკვირველია, რომ დღეს ბროლია მეტის-მეტად იყო მორბილებული; დათიკოს ყოველ სუნთქვას თითქოს სთვლიდა, იმის უნებლივ მოძრაობას ყურადღებით თვალს ადევნებდა და გულში, ვინ იცის რას არა ფიქრობდა.

იმისი გულჩვილობა და ლმობიერება-კი სულ იმისი ბრალი იყო, რომ დათიკომ დღეს სახლში პირველად დაარჩინა და ოთხის ნახევრამდინ მარტოდ-მარტო ტუსადივით კარ გამოკეტილში ამყოფა.

ოხ, რომ იცოდეთ რა ცეცხლად ეჩვენა, როდესაც კვლავინდებურად გასასეირნებლად კარებში გამდგარ ძაღლს, დათიკომ წასვლის დროს ფეხი ჰკრა, შინ შემოაგდო და გარედან გასაღები დააჩხარუნა. დიდი ობლობა და სიმწარე განიცადა, როცა ის კიბეზე ბრაგა-ბრუგით ჩავიდა და მერე-კი უცებ მისწყდა იმის ფეხის ხმა.

საწყალ ბროლიას გული უფრო იმისთვის უკლებოდა, რომ ასე ეგონა, ეს არის, დათიკოს უჩემოდ ქუჩაში, იმდღევანდელი ბიჭივით, ან ეტლი გაიტანს, ან რომელიმე დაუსრულებელ სახლიდან აგური ჩამოვარდება და ქვეშ მოიტანსო, ან სადმე ცეცხლში მოჰყვება და აღარ გადამირჩებაო...

გაიფიქრებდა ამას თუ არა, ბროლია იმისთანა წკმუტუნს მოჰყვებოდა და კარებს ისეთას აფხაქუნებდა, რომ გულგაწყალებული სახლის პატრონი კიბიდან კურატივით ჩასუქებული როგორც კი კვირტი-გორგალი ბარემ სამჯერ ჩამოგორდა, მაღალ-ქუსლიანი ფეხსაცმელი გაწიწმატებულმა რამდენჯერმე წაიძრო და წყევლა-კრულვით ძაღლს ისე დაუბრაახუნა, რომ ისედაც ექვევით დატანჯული ძაღლი შიშისაგან კინალამ ჰკუდიდან შეიშალა.

მაგრამ იპან რა ჰირი იცოდა, ბროლიას გული რაზედაც ეტანჯებოდა. განა ის როდისმე მიხვდებოდა იმას, თუ პრიალა ღილებიანი მოხელე რა გაჰირვებულ ცხოვრებასაც ეწეოდა?

აი, ეხლაც დათიკოს იმისთანა დაღლილ-დატანჯული სახით ეძინა, რომ ბროლიას თვალებიდან ცეცხლი სცვიოდა.

— უი, დამიდგეს თვალები, აღბად ძლიერ დაილალა!.. აგერ თვალები რა ნაირად ჩასცივინია... უთუოდ ძლიერ ბევრს ამუშავებენ. არა გენაცვა, ე ჩვენ ძაღლებში-კი გამიგონია ასე მუყაითად სამსახურის გაწევა და რას ვიფიქრებდი თუ ადამიანებიც ასე ძლიერ იტანჯებოდნენ... მაგრამ ნეტა ეს ვილას უყარაულლებს. ან დღისით რა ყარაულობა უნდა—ფიქრობდა დაჟინებით ბროლია და დათიკოს სახეს უფრო ძლიერ აშტერდებოდა.

— დახე ი ცხვირი სიგამხდრისაგან როგორ მიჰბრეც-მოჰბრეცია და დავითიანთ წერაქვივით რა რიგ წამოსწოპებია... ვენაცვალე, ვენაცვალე მაგ შენ ცხვირსაც და მაგ თათრულ ლავაშივით გაბრტყელებულ ყურებსაცა.

— ოხ, ეხლა ერთი ლუკმა თათრული ლავაშისა, რა ცხონება იქნებოდა!.. მერე რა ნაირ მშინა!!.. აბა, უბედურობა როგორ არ არის, ეს საწყალი, ისე ძლიერ იყო დაღლილი, რომ მე სრულიად დაფავიწყდი... თითონ-კი შექამა ორიოდ ლუკმა პური და თავბრულახვეულივით მიეგდო. მერე ჩემი ოხვრა-ტირილის შემდეგ, რა ძლიერ მომშივდა!

— ძაღლმა შიმშილის გახსენებაზე ერთ ადგილზე ვერ მოისვენა. ადგა, აქეთ-იქით მიიარ-მოიარა და უსუფრო და შეუღებავ მაგიდაზე ზურგიელის ნაჭერი რომ შენიშნა, ახლა მაგიდას შორი-ახლო ჩამოუცუცქდა და თათი რამდენჯერმე ჩამოუქნია.

— აი, შე შეჩვენებულო! მაჯავრელასავით რომ წამოსკუპულხარ და ჩვენი სახლის პატრონივით ქონი გადაგდ-გადმოგდის, ვითამ რაო, გინდა რომ შემაცდინო?.. შენი თავის მზემ!.. განა მაგას ჩუმად მოვპარამ რასმე?!. მერე მაგასაც რომ ჩემსავით მოშივდეს, ხომ ცოდით ცეცხლი წამეკიდა?! უი, არა, არა! ოღონდ მაგას ნურა დააკლდება რა და ჯანდაბას ჩემი თავი!.. ძაღლს იმიტომ მეძახიან, რომ ასე ძაღლურად უნდა გავატარო ჩემი ღდენი!..

ბროლიამ თევზის ნაჭერს კიდევ ახედ-დახედა, შემდეგ ქვევით, ტახტის ბოლოსკენ გაქანდა და დათიკოს ფეხთით წამოცუცქულმა ტიტველა ფეხები შეუთვალეირა.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, ეს შავები რა აკრავს ი ფეხის გულეზზე?.. ხომ არა სტკივა? ან იქნეა მოდაა მაგათში შავად ფეხების აქრელება?

— ეი, დიდება შენთვისა ღმერთო! ბოლში გამოყვანილ კაი ლორებს კი მიუგავს... და!..

— ეჰ, მე საწყალს, რაკი ძლიერ მშინა ხან ლორები მაგონდება და ხან რა ჯანდაბა, თითქოს მართლა ლორების ქამით მქონდეს კბილები მოცვეთილი.

მაგრამ... დაიცა! ეს რაღა ჩამოსთრევეს შარვლის ტოტიდან?! თეთრია, თოკის მგზავსი..,

ჰო, ეს ნამდვილად იმიტომ თუ ჩამოჰკიდა, რომ ღროით გამოვადვიძო... მაგრამ ვაი თუ სხვა იყოს?.. აბა ერთი ჩამოვწიო!..

ბროლია ამ ფიქრით უკანა ფეხებზე შედგა, წინა ფეხები ტახტს მიაბჯინა და შარვლის ტოტიდან ჩამოგძვლებულ თეთრ ზორტს კბილით დაეკიდა და გაიწ-გამოიწია.

დათიკო მოულოდნელად შეინძრა, ფეხები ზევით ასწია და გვერდი იცვალა.

ძადლი შეკრთა და გატვრინდა.

— არა, არა! ეს ნამდვილად არ ესია მოვინა. ალბად ადრე იქნება და გამოღვიძება იმიტომ თუ ეძნელება, მაშ ცოტას კიდევ მოვიცდი, მაგრამ ისეთი რა მოვიგონო რომ გამოღვიძებისას ძლიერ ვასია მოვინო? ნეტავი ერთი მაგისი დაღონებული სახე-კირითივე გავამხიარულო და მერე რაც უნდა მომივიდეს.

ღმერთო რა მოვიგონო, რა?! თავს იტყხავდა ბროლია ფიქრით და მოუსვენრად თან ოთახში დარბოდა.

მაგრამ რასა ნახავდა? კუბოს მგზავს პაწია ოთახში ერთი ჩაგლეჯილი სკამი, ხის მაგიდა და ტახტი, რომელზედაც დათიკო განისვენებდა— ყველა ეს იმის მორთულობასა და სიმდიდრეს შეადგენდა.

— არიქა, ახლა კი ვიცი! სიხარულით გაიფიქრა ბროლიამ, როდესაც ტახტის გვერდით დანგრეულ და გამორიყულ ხომალდით წამოდგმულ ფეხსაცმელებს თვალი შეასწრო.

— ახლა-კი ვიცი რა გაუკეთო, ან კი აქამდინ რამ დამავიწყა, რა სულელი ვარ... დაიცა ვნახო!.,

ამ ფიქრით ბროლია ფეხსაცმელებისკენ გაქანდა და კუდის ქნევით თვალიერება დაუწყო. ფეხსაცმელებში ტილოს ნაგლეჯები ეწყო, რომლებიც ალაგ-ალაგ ყავის ფრად იყვნენ შემურულნი. ამ ნაჭრებში დავითი თავის ფეხებს ახალ-დაბადებული ბავშვივით ლამაზად გამოიკრავდა და ფეხსაცმელს ისე იცვამდა.

ბროლიამ ერთ-ერთ ფეხსაცმელს ტილოს ნაჭერი ამოაძრო, კაი განძივით შიგნი-შიგან ტახტის ქვეშ კუნჭულში მიმალა, შემდეგ გამოძვრა, ფეხსაცმელს ისევ მიუცუტქდა და ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— ჰო, მგონი ეს არის დასაკარებელი. ეს არის, ეს იმიტომ, რომ იმ დღეს მეც რომ წავყე—სწორედ ეს ფეხსაცმელი მისცა წითელ წვერა თათარს დასაკარებლად.

აკი ჩხუბიც მოუვიდა, რომ ხეირიანად ვერ დაუკერა!.

აბა, ახლა მე წავიღებ და თუ სულ არ გავაახლებინო, თავზე ლაფი მესხას! მერე როგორ გაეხარდება!

ნეტა ერთი მართლა ძლიერ ვასიამოვნო და ვაგრძნობინო, რომ ასე ძლიერ მიყვარს და თავის დღეში არ მომიშოროს, სადაც წავიდეს თან წამიყვანოს, რომ დღევანდელივით ასე არ დავიტანჯო.

მაშ, აბა, მივდივარ და თუ ერთ წამს მთელი არ ჩაგაბარო, ეს უღვაშები ნულარა მსხმია.

თქმა და ასრულება ერთი და იგივე იყო. ბროლიამ ფეხსაცმლის ყელს პირი ჩაავლო, ასწია, ცოტა არ იყო ემძიმა და ძირს ისევ ისეთი ტყაპანი გაადინა, რომ იმას ხმაზე თვითონვე გული გაუხსკდა. დავითმა კი ერთი მძიმედ ამოიოხრა და მერე გვერდზე გადმოტრიალდა.

ბროლიამ პატრონს შეხვდა და შენდობის ნაცვლად კუდი იატაკზე ეშმაკურად აათამაშა. მან ცოტა ხნით მოიკადა, დათიკომ რომ ცხვირი ისევ აამღერა, ფეხსაცმელს ისევ პირი დაავლო, როგორც იყო დასძლია, კარები ფეხით გააღო და ქუჩაში გამოსული ერთი ისეთას დაიძრა და ისე გასწია, რომ ადამიანი თვალს ვეღარ მოასწრობდა. მიდის რა მიდის, მიცუხცუხებს რაც ძალი და ღონე ააქვს, მაგრამ სასაცილო უფრო იყო, რომ იმოდენა ფეხსაცმელთან, რაკი ბროლიას პაწია სხეული არა სჩანდა, გეგონებოდათ ფეხსაცმელს ფეხი აუდგამს და თითონ მირბისო. ერთი ქუჩა გაიარა, მეორეს შეუდგა და ზემოთაკენ გასწია.

აქ ამ მიყრუებულ ქუჩაში ბროლიას ფეხსაცმელი ორჯელსამჯერ გაუვარდა და ცემენტის „ტროტუარზე“ ისეთი ტყაპანი მოიღო, რომ შიშისაგან თვალეზ დაქყეტილმა ბროლიამ აქეთ-იქით გაბეცებით გაიხედ-გამოიხედა და რაკი არავინ დაინახა, დამშვიდებულმა პირი ისევ წაავლო და მოჰქუსლა.

— ნამდვილად იმას მიუტან და აბა დროით ნუ დააკერებს!..

გახარებული ფიქრობდა ბროლია, მაგრამ დახე უბედურებას! .

აღმართს შეუდგა თუ არა, უცებ პატარა შესახვევიდან წინ ვილაცა გადაეღობა და წაუტია. ბროლია შესდგა, პირიდან ფეხსაცმელი გაავლო და უცხო თავხედს თამამად და მტკიცედ მოახსენა; მაგრამ მოხსენებისა კი რა გითხრათ და იმას კი აგრე ეგონა, რომ ძლიერ მეტყველებდა და თან თვალეზს ისეთს ათამაშებდა, სახეშიაც ისე შესცქეროდა და კუდსაც ისე აქნევდა, რომ კინამ მოსტყდა.

— რას მიცქერი? ეუბნებოდა ბროლია უცნობს—ეს ჩემი პატრონისაა... იმას კარგად ვერ დაუკერეს და ახლა მე მინდა დავაკერებინო... გზაც კარგად ვიცი. აი, ზემოდ ფურნის გვერდით რომ შეუხვევ, ერთი პატარა თათარი, სადღაც კოლოფის მგზავს სოროში შემძვრალია, დაბრაწულ კუტივით მოკუნტულა და დაკერების დროს თამბაქოს ფერ წვერებს ისეთ ნაირად აცანცარებს, რომ გიგოლაანთ თხა გეგონება. ჰო, სწორედ იმასთან მიმაქვს... იმან უნდა დააკეროს... რა აქეთ იქით ატრიალებ? მოგწონს განა?! აბა ახლა მაგისი პატრონი ნახე... მე ის ისე ძლიერ მიყვარს, რომ ლამის გადავირიო.

რა ვქნა, რა მუშტრის თვალით ათვალისებრებს?... ნელა, ნელა, ემანდ არა გაუფუჭო. ჩემი პატრონი ისე ძლიერ უფრთხილდება მაგ ფეხსაცმელს, რომ მუდამ ჩაცმის დროს ხელში რომ აიღებს, ძირის ძირობამდე ისე ათვალისებრებს, თითქოს მაგაზე ლამაზი არაფერი ენახოს რა. თანაც მაგის გაკობტაება როგორ უყვარს! კვირა არ გავა რომ, თითქოს მადლობის ნიშნად ჩინ-ორდენივით ახალ-ახალი საკერებლით არ მოართვევინოს.

ძალდი ამას ისე გულწრფელად უამბობდა, თან გამაღებულ კულის ქნევით უცნობს ფეხებში ისეთას უვარდებოდა, თითქოს ძლიერ სურს ყველაფერი გააგებინოსო.

უცნობმა კი ფეხსაცმელი ხელში აიღო, მიატრ-მოატრიალა, მერე აქეთ-იქით ისე დაიწყო ყურება, თითქოს ვისმეს ათვალისებრებსო, შემდეგ ძალღს ერთი კი დაუტია და ჰერი ბიჭო, გასწია! ძალდი ჯერ კიდ ამოძუებული აედევნა, მაგრამ იფიქრა, ეს ნამდვილად დათიკოს ნაირად იმიტომ მიტევეს, რომ სახლში ჩქარა წავიდე და მე თითონ ვახარო. ღვთის მადლით ქვეყანაზე კეთილი კაცი ბევრია, მაგრამ მე რომ ხელად ვერ მივხვდი?

რასაკვირველია ეგ უფრო მალე დააკერებინებს—სიხარულით გაიფიქრა ბროლიამ და სახლისაკენ მოძურწა.

სანამ მეორე ქუჩას მოუახლოვდებოდა, ბროლიას გულმა მაინც ვერ მოუთმინა და შორ გაქცეულ ბიჭს ერთი კიდევ მიუბრუნდა და შეეხმაურა:

— მაშ ამ წამშივე დაბრუნდები?!


მის ყეფაზე ბიჭმაც უკან მოიხედა და ფეხსაცმელი ისე დაუქნია, თითქოს პასუხი მისცაო.

— აი ღმერთმა გაგახაროს, როგორც ზედ მეტად მე გამახარე, მიაძახა უკანასკნელად ბროლიამ და თავქვე საჩქაროდ დაეშვა.

დათიკოს კიდევ გაეღვიძა, ფეხები ძირს ჩამოეკიდა და წამოკუზული ფეხსაცმელს გამალებული ეძებდა, ცოტა არ იყოს საღამოს სამუშაოდ დაჰგვიანებოდა და მეტი სიჩქარით უკვე ჩამოზნელებულ ოთახში ველარას არჩევდა.

ბროლია-კი ისედაც დაფაცურებულ დათიკოს სიხარულით ფეხებში ედებოდა და თან ცდილობდა როგორმე მიეხვედრებინა, რომ—დასაკერებლად წავიღე და ამ წამშივე უფრო გალამაზებულს მოგართმევენო.

ცქვიტი.



# საქართველოს პირველი

## ეროვნული ყრილობა.

(1917 წ. ნოემბრის 19—23).



ურუსით მოცული მომავალი ჯერ კიდევ მრავალ განსაცდელს უმზადებს ჩვენს სამშობლოს. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს იმ, ნათელ დღეების ნეტარ მოგონებას ვერავითარი ძალა ვერ წაგვართმევს.

რა მოხდა ასეთი იმ ხუთიოდე დღის განმავლობაში?

რათ გვიძგერებდა გულს ასე მძლავრათ ტფილისის სახელმწიფო თეატრის აივანზე აფრიალებული დროშა?

რათ გვიპყრობდა ისეთი გრძნობა, თითქოს ჩვენი ლატაკი ცხოვრების უფერული დღეები ჩვენ თვალ წინ დიად ისტორიის ოქროთ მოვარაყებულ ფურცლებათ გადიშალა; და ის „მკვდარივით მძინარი ძველი ტურფა“, რომელსაც ჩვენი აკაკი დასტიროდა, ისევ სიციცხლით მფეთქავ მზეთ-უნახავათ მოგვევლინა.

თითქოს მკვდრეთით აღსდგა საქართველო, საუკუნის განმავლობაში მონურათ ქედ-მოხრილი?

გონების თვალრთ რომ განვსჭვრიტოთ იმ 5 დღის ნამოქმედარი, დავინახავთ რომ ეროვნულმა ყრილობამ გამოამყლავნა მხოლოდ ის შინაგანი ძალ-ღონე, ერის თანდათან განვითარების პროცესს რომ შეუქმნია. ახალი ის იყო, რომ ჩვენ საჯაროთ აღვიარეთ, გაბედულათ დავარქვით სახელი იმას, რაც უამისოთაც უტ-

ყუარ ფაქტს წარმოადგენს; გადავხედეთ უახლოეს წარსულში გავლილ გზას; თვალთ გავზომეთ ახალი, ფართო, ნათელი გზა, რომლისკენაც მიისწრაფვის ჩვენი გამოფხიზლებული ეროვნული შეგნება.

რაც კი იყო ძველი, დროგარდასული ჩვენი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ნანგრევებათ-ლა მოველინა ჩვენს თვალებს იმ დიდებულ დღეებში. ბატონ-ყმური ურთიერთობა, ჩვენი ერის დაქვეითების ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი, ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრილი ვიხილეთ. ქართველი თავად-აზნაურობა, ამიერიდან ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი, ერის წინაშე წარსდგა გულწრფელი საღამით და უხვი შეწირულებით. ამ წოდების დიდი ქონება, რამდენიმე ათეულ მილიონათ ღირებულის, მთელი ერის საზოგადო საკუთრებათ გადაიქცა. ამ კეთილშობილ ძღვენის გაღებას ორი მნიშვნელოვანი რამ გვითხრა: ისა, რომ ქართველმა თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, თვითონვე უარყო თავისი თავი, და ის, რომ ამავე წოდებამ, როგორც ქართველი ერის განუყოფელმა ნაწილმა, მოქალაქეობრივ შეგნების უმაღლეს განვითარების მაგალითი გვიჩვენა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ ცხად ჰყო ისიც თუ სად უნდა ვეძიოთ მთავარი ღერძი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ბედობლის ჩარხი მძლავრათ აატრიალა. ეს ღერძია ერის უდიდესი ნაწილი, ძველ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ნანგრევებზე რომ იწალდავს ნათელ გზას. ქართველ დემოკრატიის ზნეობრივი და კულტურული ძალა, მის რაზმთა მთელი სიმწყობრე, მის მიერ შექმნილი შეგნება ჩვენი ქვეყნის მთელი დემოკრატიის ერთობისა, ეს ცხოველი წყარო ქართველობის ეროვნულ გაერთიანებისა, ცხადათ გამოჩნდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე. აღმოჩნდა, რომ სწორეთ დემოკრატიულ ბრძოლის ქარტეხილში გაუვლია ქართველ ხალხს დიდი პოლიტიკური სკოლა; ამ ბრძოლის წყალობით მოუპოვებია პოლიტიკური სიმწიფე—ეს აუცილებელი პირობა ეროვნულ დამოუკიდებლობისა; შეურყვევლი საფუძველი მისი სიმტკიცისა.

აღმოჩნდა რომ საქართველო დღემდის მხოლოდ დემოკრატიულათ გაერთიანებული, დღეიდან ეროვნულათ გაერთიანებული აღიმართება მტერ-მოყვარის წინაშე და საქვეყნოთ განაცხადებს:

— პოლიტიკურათ მომწიფებელი ქართველი ერი მონობის უღელს ვეღარ დაიდგამს. საკუთარ მიწა-წყლის ფარგლებში იგი დაამკვიდრებს თავის დამოუკიდებელ არსებობას.

სრული შინაური დამოუკიდებლობა დააწერა თავის დროშას ქართველთა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ. ამ დროშის გარშემო გაერთიანდა მთელი საქართველო, განურჩევლათ პარტიებისა.

ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ქართველობის შემოკრებით ჩვენი ერის ცხოვრების ახალი კვირტი გამოინასკვა. გარკვეული ზღვარი დაიდვა ერის ძველსა და ახალ ისტორიას შუა.

აღსდგა მკვდრეთით მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე გარდაცვლილი საქართველო. მაგრამ ახალი საქართველოს ნათელი სახე საბედნიეროთ ნაკლებათა ჰგავს ერთი საუკუნის წინ დასამარებულ მიცვალებულს. იმავე სისხლისა და ხორცის, იმავე მიწა-წყალზე მცხოვრები, იმავე ენით მოსაუბრე ქართველი ერი, ღღეს ერთიანათ გადახალისებულთა. მოძველებულმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, შინაურმა გაუტანლობამ, ძალების დაქსაქსვამ, ერთი სიტყვით, სრულმა შინაგანმა უძოურებამ დააქცია ძველი საქართველო. მონურ დამოკიდებულების უკანასკნელ ნაშთების მოსპობამ, ყველა ძალების გაერთიანებამ, მკიდრო შეკავშირებამ—დაიწყო ახალი საქართველოს აგება.

ძველ სახელოვან საბერძნეთში იყო ერთი პატარა, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო—ათინა. ათინელთა შემოქმედებაში იპოვა უსრულესი განსახიერება ბერძენთა ტომის გენიოსობამ. ათინა, ელლინთა განათლების უბრწყინვალესი ლამპარი, ამავე დროს დემოკრატიულ თავისუფლების აკვანიც იყო. ათინის ისტორიის მკვლევარნი ათინის ზრდასა და სწრაფ განვითარებას მისი დემოკრატიის გაძლიერებას უკავშირებენ.

ათინის ისტორია—ეს ათინის დემოკრატიის ისტორია არისო—ამბობენ ისინი.

ახალი საქართველოს ისტორიის მკვლევარიც უმკველათ აღნიშნავს ქართველ დემოკრატიის და ქართველ ერის განვითარ-

რების შუა არსებულ მკიდრო კავშირს. განახლებულ საქართველოს ისტორიასაც საქართველოს დემოკრატიის ისტორია დაერქმევა.

გაივლის მრავალი წელი, ერთი თაობა მეორეს შესცვლის. მაგრამ ისევ და ისევ განსაკუთრებული გრძნობით აძგერდება ქაბუკი ქართველის გული, როცა მისი ნათელი, ქეშმარიტი თავისუფლების შუქით მოელვარე თვალები ჩვენი ისტორიის ფურცელზე ამოიკითხავს 1917 წ. 19 ნოემბრის თარიღს და იფიქრებს: ეს ის ბედნიერი დღეა, როცა ჩემმა სამშობლომ თავისი თავი თავისუფალ არსებობისათვის მომწიფებულათ სცნო. კურთხეულ იყოს იგი!

ჩვენ-კი, ამ ბედნიერ დღეების ცოცხალ მოწამეთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები:

„ყოველი ქართველი მოვალეა ეროვნულ ყრილობის დადგენილებათა განხორციელებას ხელი შეუწყოს“.

ჩიტო.



5908  
1917

როგორც რომ დრო  
ხელს უეგვიწყობს

**ჯეჯილი**

ბ ა მ რ ბ ა.